

განახლებულია: 30.09.2024

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული და უწყვეტი განათლება/Vocational and Continuing Education
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მეცნიერების მაგისტრი/Master of Educational Science
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მადონა მიქელაძე, ასოცირებული პროფესორი, ელ.ფოსტა: madona.mikeladze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	120 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა;</li> <li>✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა;</li> <li>✓ მობილობის წესით ჩარიცხვა;</li> <li>✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.</li> </ul>
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>მომზადდოს განათლების მეცნიერების მაგისტრი, რომელსაც:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების სისტემებში, განათლების თეორიებში, განათლების პოლიტიკაში, პროფესიული და უწყვეტი განათლების სპეციფიკასა და პროფესიული განათლების ხარისხის მართვაში;</li> <li>✓ შესწევს უნარი ეფექტიანად გაუმკლავდეს ლოკალურ და საერთაშორისო ასპექტში პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის გამოწვევებს, კვლევისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს ინოვაციური მიდგომები და გაითვალისწინოს დარგის სპეციფიკა;</li> <li>✓ აანალიზებს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებებს, გეგმავს და ახორციელებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.</li> </ul>
სწავლის შედეგები	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას განათლების სისტემებში, განათლების თეორიებში, განათლების პოლიტიკაში, კვლევის მეთოდებში, პროფესიული და უწყვეტი განათლების სპეციფიკასა და ხარისხის მართვაში;</li> <li>✓ ახდენს პროფესიული და უწყვეტი განათლების განვითარების ტენდენციებისა და დარგში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული განათლების მიზნების, ამოცანებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"><li>✓ განსაზღვრავს პროცესის შეფასებისა და კვლევის საჭიროებებს პროფესიული და უწყვეტი განათლების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობისთვის;</li><li>✓ ანალიზებს პროფესიული განათლების პედაგოგიკის პრინციპებს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას და მნიშვნელობას პროფესიულ და უწყვეტ განათლებაში, ინკლუზიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ორგანიზების საჭიროებებს;</li><li>✓ განათლების კონცეფციის, თეორიებისა და პოლიტიკის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აფასებს პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებს, აკეთებს დასკვნებს და ამზადებს რეკომენდაციებს;</li><li>✓ არგუმენტირებულად მსჯელობს პროფესიულ და უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად. წარმოაჩენს და ასაბუთებს შესაბამისი თეორიული პერსპექტივების საფუძველზე არჩეულ პოზიციას;</li><li>✓ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას, ახდენს ემპირიული და თეორიული მონაცემების დამუშავებას, ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას. საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებსა და კვლევის შედეგებს წარუდგენს როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებას;</li><li>✓ ახდენს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი სასწავლო/სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას ინოვაციური მიდგომების გამოყენებით;</li><li>✓ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.</li></ul>
--	---